ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №186

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2016 წლის --- 12 ოქტომბერი--- ქ. ქუთაისი

შემსყიდველი -საქართველოს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადა(ს/ნ 16101) სახით

მისამართი: ქ. ქუთაისი ახალგაზრდობის 1 შესახვევი № 1 ტელ. 23-24-99, 577 19 18 63

საბანკო რეკვიზიტები: „ს.ს საქართველოს ბანკი„ ————————————

მიმწოდებელი:შ.პ.ს. თეგეტა მოტორსი ს/კ 202177205, ა/ნ GE80TB0600000024467853-ვადასტურებთ,

მისამართი, ტელეფონი: ქ. ქუთაისი ნიკიას მე-9 ჩიხი N2ა

ერთის მხრივ - შემსყიდველი და მეორეს მხრივ - მიმწოდებელი, ადასტურებენ რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი:**

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების №1 დანართში (ფასების ცხრილი) აღნიშნული **საქონელი** ხელშეკრულების პირობებისა და ფასების ცხრილში აღნიშნული ხარისხის, რაოდენობისა და ფასის შესაბამისად:

ავტოსათადარიგო ნაწილები(42900000)

1,2 ხელშეკრულების 1.1. პუნქტში აღნიშნული დანართი №1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1,3, შემსყიდველი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და ფორმით.

2. **ხელშეკრულების ფასი:**

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის დასახელება, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მაჩვენებლები და საიდენტიფიკაციო მონაცემები, აგრეთვე რაოდენობა და ერთეულის ფასი მოყვანილია №1 დანართში (ფასების ცხრილი).

2.2. **ხელშეკრულების საერთო ღირებულება** შეადგენს:

425(ოთხასოცდახუთი) ლარი 00 თეთრი

(თანხა ციფრებით და სიტყვიერად)

2.3. საქონლის ერთეულის ფასი და ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს, დაკავშირებულს საქონლის მიწოდებასთან და შემსყიდველის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელს, სახდელს.

2.4. ფასების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. **ხარისხი:**

3.1. საქონლის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში და ხელშეკრულების დანართში აღნიშნულ პარამეტრებს.

3.2. მიმწოდებელი კისრულობს გარანტიას მიწოდებულ საქონელზე ტენდერში შემოთავაზებული პირობების შესაბამისად და პასუხს აგებს მიწოდებული საქონლის ხარისხზე ————————, ხოლო შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან —5— დღის განმავლობაში, და თუ ამ პერიოდში აღმოჩნდება უხარისხო (წუნდებული) საქონელი მიმწოდებელი ვალდებულია ——5— დღეში ან გამოცვალოს წუნდებული პროდუქცია ან დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

4. **მიწოდების წესი:**

4.1. საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით საქონლის მიწოდების გრაფიკში მითითებულ ვადებში და ადგილზე.

4.2. მიმწოდებლის მიერ საქონლის საბოლაო მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ——10—— დღის განმავლობაში.

4.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საქონლის ყოველი პარტიის მიწოდების დროს გადასცეს შემსყიდველს, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და გააფორმოს მიღება-ჩაბარების აქტი.

4.4. შემსყიდველი ვალდებულია გადაცემის დროს ჩაატაროს საქონლის შემოწმება/კონტროლი, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს: ——————————— **გამოყოფილი** პირი.